ოქმი:**ო08.37221501**

თარიღი:**30/05/2022**

ოქმიN12

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 27 მაისი

ქ.ოზურგეთი

11.00-12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ალ. ღლონტი, ნ. მახარაძე, გ. ჩავლეშვილი, ბ. კილაძე, პ. კიღურაძე, გ. შარაშენიძე, გ. შილაკაძე,ლ.კილაძე, თ.ტუღუში.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N 17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

3. კომისიაში შემოსული კორესპოდენციის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N 17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, ვრცლად დადგენილების პროექტზე ისაუბრა თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ, მანვე უპასუხა დასმულ შეკითხვებს, მათ შორის 1.9 მილიონი ლარის ნაშთზეც. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, კომისიის წვრებს გააცნო ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების ძირითადი პარამეტრები, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯების ნაწილში, უპასუხა დასმულ შეკითხვებს, მათ შორის კურორტ გომისმთის გზის მშენებლობისა და განაშენიანების გენერალური გეგმის შედგენის თაობაზე. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიაში შემოსულ მოქალაქე თ. ჭელიძის გაანცხადება და მასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის შესაბამისს კომიტეტსა და განმცხადებელთან გასაგზავნი წერილი.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი ორივე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე- N1 განხილვისა და დამტკიცების, ხოლო N2 განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

2. შემოსულ კორესპონდენციაზე პასუხი გადაეგზავნოს საქართველოს პარლამენტის შესაბამისს კომიტეტს და ეცნობოს განმცხადებელს.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი